

ვახტანგ რაზმაძე



თქმა მართლისა...

თბილისი

2005

ვახტანგ რაზმაძე



თქმა მართლისა...

თბილისი

2005



უკანასკნელი სამი თვეა გაზეთ ალიას დამატება „ქრონიკა“ ყოველ
 ნომერში აქვეყნებს სასჯელმობილი დამნაშავეების
 სარეაბილიტაციოდ დაუსაბუთებელ მასალებს და არაკვალიფიციურ
 ტენდენციურ შეფასებას აძლევს მათ. მასალები იმდენად
 პრიმიტიულად იყო წარმოდგენილი, რომ არ მინდოდა
 გამოვხმაურებოდი მას. მაგრამ ბოლო პუბლიკაციაში სასჯელმობილი
 თენიშვილი მოითხოვს, რომ მე და შოთა გორგოძემ ბოდიში უნდა
 მოუხადოთ იმისათვის, რაც გავაკეთეთ მისი მსგავსი დამნაშავეების
 მხილებისათვის.

ამ გამოწვევაზე მე მოვამზადე პასუხი, მაგრამ გაზეთ „ალიას“
 რედაქტორმა უარი განაცხადა მის გამოქვეყნებაზე დიდი მოცულობის
 გამო. კარგია, თუ უარის მიზეზი მხოლოდ ეს არის და არა სხვა რამ,
 რამაც არასასიამოვნო მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ქართველ კვალიფიციურ მკითხველთა შორის გაზეთი „ალია“ და მისი
 დამატებანი საკმაო ავტორიტეტით სარგებლობენ, რადგან მათ
 ფურცლებზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საკმაოდ
 კრიტიკული და ობიექტური მასალები ქვეყნდება და მით უფრო
 გაკვირვებას იწვევს პირადად ჩემში და ალბათ „ალია“-ს მკითხველთა
 შორის, როცა გაზეთმა ძალიან დიდი დრო და ადგილი დაუთმო ისეთი
 იაფფასიანი, ცილისწამებლური მასალის პუბლიკაციას, როგორცაა
 მსჯავრდებული, აწ განსვენებული ხაბიშვილის მიერ საპრობილეში
 ნაწარმოებული ჩანაწერები.

F-115-435

ის ვინც ცდილობს ამ ჩანაწერების გამოქვეყნებით მოახდინოს
 საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და წარმოადგინოს, რომ ხაბიშვილი
 უკანონოდ იყო მსჯავრდებული ამ პიროვნების და მისი ოჯახის
 მტერია. ვინაიდან მაიმულებენ მე ერთხელ კიდევ წარვუდგინო
 ქართველ მკითხველს და მთელ საზოგადოებას მისი და მისი
 დანაშაულებრივი მფარველის, ამავე დროს დამდუპველის ნამდვილი
 სახე. მე ვფიქრობ მოვიდა დრო როცა ხალხმა ყველაპერი უნდა იცოდეს.





როცა ხაბეიშვილი ციხიდან გამოვიდა მან მოინდომა ჩემთან შეხვედრა და ჩემმა და მისმა მეგობრებმა ზურაბ წერეთელმა და მგელაძემ მასთან შემახვედრეს ქ. მოსკოვში ზურაბ წერეთლის ბინაზე. შეხვედრის დროს მას გაუქრა ილუზია, რომ როდესმე შესძლებდა საზოგადოება დაერწმუნებინა მის უდანაშაულობაში, მიუხედავად ამისა მან მთხოვა, მის საქმეში აგარ ჩავრეულიყავი, რადგან მას ყველა ეხმარებოდა, მხოლოდ ჩემი პიროვნების გათვალისწინებით ღიად არ აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციებს, მე მას პირობა მივეცი, რომ მისი საქმის შემდგომი ბედი არ მაინტერესებდა, რადგან მე პროკურატურის ორგანოებში აღარ ვმუშაობდი და არც მქონდა არავითარი შესაძლებლობა მისი საქმის გადაწყვეტაში რაიმე მონაწილეობა მიმეგო. მივეცი პირობა, რომ მის საქმეზე არც არაფერს ვიტყოდი და არც დავწერდი. ვარ ჩემთვის და არავის არაფერზე ვაწუხებ. ალბათ მკითხველი ამჩნევს, რომ მე რეაგირებას არ ვაკეთებ და არაფერს ვამბობ ჩვენს ე.წ. პარლამენტის ზოგიერთი არ შემდგარი პოლიტიკოსის სულელურ გამონათქვამებზეც. სამწუხაროა, რომ ხაბეიშვილისათვის მიცემული პირობა უნდა დავარღვიო გაჩუმება აღარ შეიძლება.

ამის გამო ბოდიშს ვუხდი ხაბეიშვილის ოჯახს, ვარდევ მიცემულ პირობას და იძულებული ვარ ვთვა საქმეზე ყველაფერი სიმართლე, რაც გამოიწვევს ოჯახის წევრების ოდნავ მოშუშებული ჭრილობების გახსნას, ჭრილობებისა, რომელიც მათ მიიღეს ოჯახის უფროსის ჯერ დაპატიმრებით, ხოლო შემდეგ მისი დაღუპვის გამო. ვფიცავარ წევრებმა საქმეში ჩაუხედავი პირის მეშვეობით შეეცადნენ ხაბეიშვილის რეაბილიტაციას სხვა შედეგის მოლოდინში არც უნდა ყოპილიყვნენ.

ბოლოს და ბოლოს ხალხმა ხომ უნდა იცოდეს, რომ დანაშაულის ჩადენას აუცილებლად სასჯელი მოყვება და შევარდნაძისნაირი ხელმძღვანელის ცდა სამართალი და კანონები თავისი ქვენაგრძნობის დაკმაყოფილებისათვის გამოიყენოს. ყოველთვის დამთავრება



მარცხით. ხალხს უნდა შეუქმნათ რწმენა რომ დანაშაულს გარდაუვლად მოჰყვება სასჯელი. ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს ხაბეიშვილის საქმეზე შევარდნაძის დანაშაულებრივი ჩარევის შედეგად რა გადაწყვეტილებაა მიღებული, რადგან უპრინციპო ადამიანთა მოქმედებით დამდგარი შედეგი სინამდვილეს ვერასდროს ვერ შეცვლის. ძალიან ვწუხვარ, რომ უნდა დავარღვიო ჩვენს ხალხში დამკვიდრებული აზრი, რომ მიცვალებულზე ან დადებითი უნდა ილაპარაკო, ან საერთოდ არაფერი. ეხლა მე იძულებული ვარ ერთჯერ კიდევ შევახსენო ფართო საზოგადოებრიობას ხაბეიშვილის საქმის ზოგიერთი დეტალი.

ვისაც საქართველოში კომუნისტური მმართველობის დროს უცხოვრია და სამართალდამცავ ორგანოებში უმუშვია ისინი დამიდასტურებენ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკის კი არა რიგითი კომუნისტის პასუხისგებაში მიცემაც კი გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. აბა როგორ მოხდა, რომ მე პასუხისგებაში მივეცი და დავაპატიმრე საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ხაბეიშვილი?

ეს ის პერიოდია როცა საქართველოში ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ დამკვიდრებული იყო სახელმწიფოს მოტყუების და ხალხის ქონების დატაცების დანაშაულებრივი პრაქტიკა. კოლმეურნეოებები, საბჭოთა მეურნეოებები, სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, ტრანსპორტის, მშენებლობის და კავშირგაბმულობის მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სახელმწიფო გეგმების შესრულების ყალბი მონაცემების შედგენაში და ამ გზით საქართველო გახდა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა და საზეიმო ვითარებაში დებულობდა საკავშირო გარდამავალ დროშებს.

მიწერები გეგმის შესრულებაში, ყალბი მონაცემების შედგენა ხელს უწყობდა და ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს სახელმწიფო ქონების დატაცებისა და მექრთამეობისათვის, საქართველოს იმ დროინდელ ხელისუფლებას შევარდნაძის ხელმძღვანელობით მორალური უფლება



არ ქონდა, მასობრივი ბრძოლა გამოეცხადებინა იმ პირობებისა და ხელისშემწყობი გარემოებების აღმოფხვრისათვის და იმ პირობა დასასჯელად ვინც იყენებდა შექმნილ ვითარებას და იტაცებდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონებას და ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მექრთამეობისა და სხვა თანამდებობრივი დანაშაულების მასობრივად გავრცელებისათვის.

ამ მავნე მოვლენებს იმ დროს გაბედული ბრძოლა გამოუცხადა პროკურატურამ და შინაგან საქმეთა ორგანოებმა. ვისაც, რომ ეს ასე იყო გაიხსენონ პროკურატურის ინიციატივით და შინაგან საქმეთა ორგანოების აქტიური დახმარებით გამოვლენილი და გამოძიებული მუაუნ მუავას გამოყენებით ფალსიფიცირებული წევნების დამზადების საქმე, რომლის მოსახლეობის მიერ მოხმარებამ რამოდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შამპანური-ღვინის ბოთლების დამზადების საქმე, გარდაბნის რაიონის სანეპიდ სადგურის მუშაკთა (ე.წ. თგვების) საქმე სკვარცოვას მკვლელობა და მასთან დაკავშირებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცების საქმე, წალენჯიხაში, სეჩხერეში, გორში, ამბროლაურში და სხვა რაიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დამზადების ყალბი დოკუმენტების შედგენისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეები, საგარეჯოს მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკის საქმე, კახეთის რაიონებში ყურძნის დამზადებაში დაშვებული სიყალბეების საქმეები, მეჩაიეობის რაიონში ჩაის დამზადების დოკუმენტების მასობრივად გაყალბების საქმეები. თიანეთის, გურჯაანის, საგარეჯოს და სხვა რაიონებში გვიან შემოდგომაზე ასკილის დამზადების ყალბი დოკუმენტაციის გაფორმება, და ამ გზით სახელმწიფო ქონების დატაცების საქმე და მრავალი სხვა.


70-იან და 80-იან წლებში საქართველო ყელამდე იყო ჩაფლული კორუფციის ჭაობში და ქვეყნის ხელმძღვანელობა მოჩვენებითი



პრინციპულობით ცდილობდა სინამდვილის მიჩქმალვას, ხოლო ჩვენს ორგანოების მიმართ, რომლებიც ვცდილობდით გვებინა და დანაშაულებათა წინააღმდეგ რეპრესიებსა და დაშინებებს მიმართავდა.

მახსენდება 1978 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქ. თბილისში პროკურატურის ორგანოებმა დაიწყო ბინათმშენებლობის საკითხებში სახელწიფო სახსრების მიზნობრივად და სწორად გამოყენების საკითხის შესწავლა. შემოწმების პროცესში გამოვლინდა საშინელი დარღვევები. სტატისტიკურ ორგანოებში აღრიცხული იყო, რომ ქ.თბილისში ბინათმშენებლობის გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა. ადგილზე ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინა, რომ მოქალაქეებს მიღებული ქონდა ბინაში შესახლების ორდერი. სახლებში, რომლის მშენებლობა შემოწმების დღისათვის დაწყებული არც იყო. როცა შემოწმების პროცესში წინასწარი მონაცემები გახდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისთვის ცნობილი, კატეგორიულად აგვიკრძალეს შემოწმების გაგრძელება, ხოლო რესპუბლიკის პროკურორი აწ განსვენებული ლერი თალაკვაძე თვითნებობისათვის გაანთვისუფლეს თანამდებობიდან, ამით ჩვენ გვაგრძნობინეს, რომ თუ ასეთ ინიციატივას გამოვიჩენდით და ჭკუით არ ვიქნებოდით მის ბედს გავიზიარებდით.

მე ეს შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ მკითხველმა გაიგოს, რა მდგომარეობა იყო კანონიერების დაცვის მხრივ საქართველოში, იმ დროს, როცა დავიწყეთ ხაბეიშვილის საქმის გამოძიება, რა წინაპირობები არსებობდა იმისათვის, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოვალაბებულ პირებს მოსვენება დაეკარგათ, ყველა თავის მოქმედებას სწორედ ვერ აფასებდა ან გადაჭარბებულად აფასებდა თავის შესაძლებლობებს, სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო ამ დროს შევარდნაძე, რომლის მითითებით და დაჟინებული მოთხოვნით დავიწყეთ ხაბეიშვილის საქმის გამოძიება.



მკითხველს მოეხსენება, რომ საქართველოს სტატისტიკურმა ორგანოებმა აჩვენეს, რომ 1981 წელს საქართველოში დაშენებული იყო (850000) რვაას ორმოცდაათი ათასი ტონა ყურძენი, ეს კი იყო ყოვლად წარმოუდგენელი ციფრი. უზრალოდ, საქართველოში არსებული ვენახებიდან შეუძლებელი იყო აეღოთ ასეთი რაოდენობის ყურძნის მოსავალი. ეს რომ წარმოუდგენელი იყო, ალბათ, ცენტრალურ კომიტეტშიც მიხვდნენ და დაიწყეს დამნაშავის ძებნა. ბუნებრივია, თავისთავს განაჩენს ვერ გამოუტანდნენ და სამიზნეთ აიღეს სიღნაღის ღვინის ქარხანა, რომლის დირექტორი იყო „ნულა“ (ზაკაშვილი). დაიწყო გამოძიება. „ნულამ“ იცოდა მას რაც ჰქონდა გაკეთებული, ამიტომ გამოძიებას თავი აარიდა და მიიმალა. ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლინდა საშინელებანი: დანაშაულის ჩადენაში ჩაბმული იყო რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყველა მუშაკი. ქარხანაში მზადდებოდა ათი ათასობით ტონა ფალსიფიცირებული ღვინო შაქრით, წყლითა და საღებავებით. ხოლო ღვინის რაოდენობრივი გამოსავლიანობა რომ გაემართლებინათ, რაც ამ რაოდენობის ღვინის გამოშვებას სჭირდებოდა იმდენი ყურძნის დამზადებისა და შესყიდვაზე ყალბი ქვითრები ფორმდებოდა მოსახლეობაზე ისე, რომ რაიონის მთელი მოსახლეობა ჩაბმული იყო სიყალბეებსა და დანაშაულებრივ ქმედებაში. პასუხისგებაში მიცემული იქნა და დაისაჯა მრავალი ათეული ადამიანი.

ვფიქრობ, ესაა შევარდნაძემ უნდა გასცეს პასუხი – ღირდა თუ არა ჩვენი მოსახლეობის ამ დღეში ჩაგდება იმ ოქროს მედლად, რომლის მისაღებადაც ეს სიყალბეები დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ.

ამ ფაქტების გამოვლინების შემდეგ ცეკას ბიურომ განიხილა სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელობის საკითხი და რაიკომის პირველი მდივანი გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ბიუროს სხდომაზე მაშინდელმა პროკურორმა, აწ განსვენებულმა ა. ბარაბაძემ მოითხოვა ცეკას მიერ მოკვლეული მასალები, სადაც ნათლად ჩანდა,



როგორ და ვისი რეკომენდაციით დაინიშნა რაიკომის მდივანად ნ. ბუჩუკური, გადაეცათ შემდგომი შემოწმებისა და გამოძიებისათვის პროკუატურას. თუმცა პროკურორის ეს მოთხოვნა ბიუროს წევრებმა არაფრად ჩააგდეს, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია მას.

ამ მომენტიდან გადის დაახლოებით სამი თვე .ეს ის პერიოდია, როცა გარდაიცვალა სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ანდროპოვი და გენერალურ მდივად აირციეს შრომის უზნარო, მეტყველება დაქვეითებული ჩერნენკო, რომლის გენერალურ მდივანად მუშაობის პერიოდში ქვეყანას ფაქტობრივად მართავდა მისი თანაშემწე პრიბიტკოვი – ხაბეიშვილის უახლოესი მეგობარი.

1984 წლის მარტის შუა რიცხვებში ცეკას განყოფილების გამგემ ნუგზარ საჯაიამ მოთხოვა მივსულიყავი მასთან. შეხვედრის დროს მან მოთხრა, რომ არის შევარდნამის ასეთი განკარგულება „თქვენ პარტკომისიიდან გადმოგეზავნებათ სიღნაღის რაიონის მასალები და შენ პირადად უნდა ჩაატარო ამ მასალებზე შემოწმება...“ ჩვენი საუბრის დროს დარეკა შევარდნამემ რაღაცაზე ისაუბრეს და საჯაიამ უთხრა რომ მე მასთან ვიყავი. შევარდნამის განკარგულებით ორივე მასთან ავედი. საუბრის დროს მან იგივე მოთხრა რაც საჯაიამ, მხოლოდ დამატა – „ეცოდე შემოწმება ჩაატარე ესე, რომ მასში მონაწილეობა არ მიიღოს რესპუბლიკის პროკურორმა...“ მე ვუპასუხე რომ ეს შეუძლებელია– მე რამე საკითხზე ვიმუშაო და ჩემმა ხელმძღვანელმა არ იცოდეს. მან კი სთქვა ; „მე ბარზამეს დიდ პატივს ვცემ, მის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ხომ იცი ,რომ ის და ხაბეიშვილი ქუთაისში ერთად მუშაობდნენ და რომ არავინ შეიტანოს ეჭვი მის ობიექტურობაში ასე მისთვის ჯობია .“

ჩემთვის უკვე გასაგები იყო რა უნდოდა შევარდნამეს – მას აინტერესებდა რის გამო გაუწია რეკომენდაცია რაიკომის მდივნის პოსტზე დასანიშნად ნ. ბუჩუკურს ხაბეიშვილმა. მასალები იმავე დღეს მოიტანეს ცეკას პარტკომისიიდან და მე ჩამაბარეს. დაიწყო შემოწმება



და დიდი შრომა არ გამხდარა საქირო იმისათვის, რომ ხაბეიშვილის როლი გამოკვეთილიყო ბუჩუკურის დანიშვნის საქმეში.

პირველი შეხვედრის დროს შევარდნაძემ დამავალა რომ შემოწმების შედეგი სისტემატიურად მომეხსენებინა მისთვის და მხოლოდ მისთვის. როცა ვუთხარი რომ საჯაიასაც ჩავაყენებ საქმის კურსში, დამთანხმდა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში, პირველივე შეხვედრის თანავე მე მას მოვახსენე, რომ შედეგი, რომელიც ამ შემოწმებას მოჰყვებოდა, ცენტრალური კომიტეტის ავტორიტეტისათვის მთლად კარგი არ იქნებოდა და მივანიშნე, რომ იქნებ არ გაგვეგრძელებინა შემოწმება. ჩემი აზრით, რჩევა მივეცი, რადგან შემოწმება დავიწყეთ და საზოგადოებისთვის ეს უკვე ცნობილია, იქნებ გადაიყვანოთ სამეურნეო სამუშაოზე, ამბობენ, ლ. ვარდოსანიძე პენსიაში გადის და ხაბეიშვილი, როგორც კარგი ორგანიზატორი წარმატებით გაართმევდა თავს იქ მუშაობას.

ვისაც შევარდნაძესთან უმუშვია და კარგად იცნობს მის თვისებებს, მათ იციან, რომ მას აქვს განსაკუთრებული უნარი მოსმენის და მდგომარეობიდან არ ან თითქმის არ გამოდის, მაგრამ, როცა აზრი მოისმინა, რომ იქნებ არ გაგვეგრძელებინა შემოწმება, აღშფოთდა და სიტყვა-სიტყვით ასე მითხრა; „შენ რატომ არ უწევ ანგარიშს იმას, რომ მე, გურული გლეხის შვილს პარტიამ ნდობა გამომიცხადა და ცეკას პირველ მდივნად ამირჩია, მე მაგენი ცეკას მდივნებად დავნიშნე და თუ ვინმემ მილალატა ყველა უნდა დაისაჯოს, არავითარი დანდობა მოლალატეებს.“

მე მისთვის სიტყვა არ შემიბრუნებია და წამოვედი. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე კატეგორიულად მოითხოვდა შემოწმების პრინციპულად ჩატარებას, ჩემში ეჭვი აღძრა ერთმა გარემოებამ; მან დავალების მიცემის დროს გამაფრთხილა შემოწმება ჩაატარე, ხალხს გაესაუბრე, მაგრამ დაკითხვის ოქმი არ გააფორმოო. მე მის ყველა



დავალებას კეთილსინდისიერად ვასრულებდი გარდა უკანასკნელი წელიწადი ყველა ნაბიჯი და საუბარი მოწმეებთან ფიქსირდებოდა ოქმების შეკრებიდან

როცა წინასწარი გამოძიება ნ. ბუჩუკურის საქმეზე გადაწყვეტ ფაზაში შევიდა და იკვეთებოდა ახალ-ახალი ფაქტები კანონსაწინააღმდეგო ქმედებისა, ახლად გამოვლენილმა ფაქტებმა ის სერიოზულად დააფიქრა და იკითხა – ცენტრალური კომიტეტიდან ვინმე ხომ არ ეხმარებო? როცა დარწმუნდა, რომ პროკურატურას სრული თავისუფლება ჰქონდა მოქმედებისა, დაიწყო საუბარი მისი კავშირის შესახებ ხაბეიშვილთან. გამომძიებელმა სერიოზულად არ ჩათვალა მასთან ამ საკითხზე საუბარი, რამაც ის გაანაწყენა და განცხადებით მიმართა შევარდნაძეს, რომ მას დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა ხაბეიშვილთან. შევარდნაძეს ეს განცხადება პროკურატურისათვის არ გადაუგზავნია და საჯაიას უთხრა შეენახა მასთან. ჩვენთვის ცნობილი გახდა განცხადების შინაარსი და აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით დაიწყო ბუჩუკურის ინტენსიური დაკითხვა სათანადო ოქმების გაფორმებით.

გარდა ამ განცხადებისა ბუჩუკური მიუთითებდა კონკრეტულ ფაქტებზე; თუ როდის და რისთვის გადასცა ქრთამი ხაბეიშვილს. სიღნაღის ღვინის ქარხნის საქმის გამოძიება მიმდინარეობდა. დირექტორი „ნულლა“ მიმალვაში იყო. მისი მეუღლე დაუკავშირდა სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს და სთხოვა, რომ დახმარებოდა მეუღლის საქმის მოგვარებაში. მანაც აღუთქვა დახმარება გარკვეული საფასურის გადახდის შემთხვევაში. მაგრამ მან წინასწარ ჩააყენა საქმის კურსში ხელმძღვანელობა, რომ მოსკოვში მასთან ჩადიოდა „ნულლას“ მეუღლე მისთვის ფულის გადასაცემად. სამინისტროს თანამშრომლებმა ჩაატარეს ოპერაცია და ვნუკოვოს აეროპორტში დააკავეს „ნულლას“ მეუღლე. მას ამოუღეს მილიონ ოთხასი ათასი მანეთი, რომელიც განკუთვნილი იყო ქრთამის გადასაცემად. ფული მოსკოვში დაიტოვეს, დაკავებული კი ჩვენ

გადმოვიგზავნეს, რომ ღვინის ქარხნის საქმესთან ერთად ჩავვეტარებინა გამოძიება.



ბუნებრივია, ამ ფაქტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საქართველოში, ყველა დარწმუნებული იყო ,რომ ამ საკითხს განიხილავდნენ ცეკა-ს ბიუროს სხდომაზე და მოჰყვებოდა დიდი საკადრო ცვლილებები. რა თქმა უნდა, როგორც ბუზუკური აღნიშნავდა,ამ ფაქტმა მოსვენება დაუკარგა მას და ყოველდე ელოდა მკაცრ სასჯელს. იმ დღეებში ლაგოდეხიდან სიღნაღში ჩავიდა ხაბეიშვილი.ბუზუკურმა მას თავისი შიში გაუზიარა და დახმარება სთხოვა. ხაბეიშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ფაქტი არ გამხდარიყო - ბიუროს მსჯელობის საგანი, რისთვისაც ბუზუკურმა მას გადასცა ქრთამის სახით ოცდახუთი ათასი მანეთი.

შევარდნამეს დაუყონებლივ მოვახსენე ბუზუკურის ამ ჩვენების შესახებ, მაგრამ არ მითქვამს, რომ ჩვენების ოქმი გაფორმებული იყო. საუბრის დროს ამკარად შევატყვე, რომ მას ეს ფაქტი არ ესიაძოვნა. მეორე დღეს მითხრა, რომ სამი წელია სიღნაღში არ ვყოფილვარო. მე გამიკვირდა, შევარდნაძე მაფრთხილებდა არავის არაფერი უთხრაო და თავად კი თურმე ხაბეიშვილს აბარებდა ანგარიშს. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა მე გამაღიზიანა და უკვე გასაგები იყო რა თამაშს ეწეოდა შევარდნაძე. ამიტომ, მე რომ ბრმა იარაღი არ აღმოვჩენილიყავი შევარდნაძის ხელში, გაათმაგებული ენერგიით შევუდექი ხაბეიშვილის მიმართ მტკიცებულებების შეკრებას. ცხადია, მე შევარდნაძეს ეშმაკობაში ვერ ვაჯობებდი, მაგრამ ჩემს მხარეზე იყო სიმართლე, პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილება, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ფართო საზოგადოებრიობა. შევარდნაძეს ვუთხარი, რომ ადვილი იყო იმის შემოწმება ნამდვილად იყო თუ არა ხაბეიშვილი სიღნაღში ბუზუკურის მიერ მითითებულ დღეს .მითხრა შეამოწმე, ხალხს გაესაუბრეო. დავბრუნდი პროკურატურაში და დაუყონებლივ გავაგზავნე სიღნაღში ორი გამომძიებელი. დღის



ბოლოს დამირეკეს და მაცნობეს, რომ დაადგინეს 13 კაცი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბუჩუკურის მიერ მითითებულ დღეს ხაბეიშვილი ნამდვილად იმყოფებოდა სიღნაღში. ეს ადამიანები იყვნენ რაიკომის თანამშრომლები, მდივნები, რაიადმასკომის თავმჯდომარე, მილიციის უფროსი და რაიკაუშირის თავმჯდომარე, რომელმაც მონადირის სახლში პურმარილი გააწყო, დოქით ღვინო მიუტანა და ემსახურებოდა მათ. ასევე დადგინდა, რომ ბუჩუკური და ხაბეიშვილი სუფრაზე ცალკე იჯდნენ და საუბრობდნენ სხვების მონაწილეობის გარეშე. როცა შემოწმების შედეგები მოვახსენე შევარდნაძეს, მას დიდი აღფთოვანება არ გამოუხატავს, მაგრამ ეს ჩემთვის უკვე აღარაფერს აღარ ნიშნავდა, რადგან ჩვენ ისე ღრმად შევეტოპეთ ამ საქმეში, რომ უკან დასახვე გზას აღარ ვხედავდი. ამ დროს მე ჩემს გამომძიებლბთან ერთად მთელ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ვახმარდი იმას, რომ საქმეზე რაც შეიძლება მეტი მტკიცებულება შეკრებულიყო, რომელიც ამხელდა ხაბეიშვილს დანაშაულის ჩადენაში.

1985 წლის ივნისიდან აშკარად ვატყობდი, რომ შეიცვალა შევარდნაძის დამოკიდებულება ამ საქმისადმი და გადავიდა აქტიურ მოქმედებაზე, რათა ხაბეიშვილის მიმართ საქმის წარმოება შეჩერებულიყო, რაც ჩემ გეგმაში სულაც არ შედიოდა. ივნისის თვის ბოლო რიცხვებში იყო, დღე ზუსტად არ მახსოვს, შევარდნაძემ, მე და შსს-ს მინისტრი შ. გორგოძე მიგვიწვია თავისთან და დაგვიწყო საუბარი, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ ხომ არ სჯობდა ბუჩუკურის საქმიდან მასალები ხაბეიშვილის შესახებ გამოყოფილიყო და საქმე ბუჩუკურის მიმართ გაგრძელებულიყო. რაზედაც მე განვაცხადე, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება და წინააღმდეგი წავედი. რატომო იკითხა. შ. გორგოძე ჩემს პასუხს არ დაელოდა და უპასუხა – იმიტომ, რომ მექრთამე ცეკას მდივანმა პასუხი უნდა აგოსო. აშკარად ჩანდა, რომ შევარდნაძე მოვლენების ასეთ განვითარებას არ ალოდა. გაოგნებულმა უთხრა გორგოძეს – ვინ ვითხრა, რომ ხაბეიშვილი მექრთამე არისო? გორგოძემ უპასუხა, ვინ

მითხრა და მისმა შერჩეულმა და დანიშნულმა რაიკომის მდივნებმა (ამ დროს, უკვე სამი რაიკომის მდივნის ჩვენება გვქონდა, რომ ხაბეიშვილს ქრთამს აძლევდნენ). შევარდნაძე გორგოძეს ვასუნიძე ძალზედ გააღიზიანა და ის მუქარაზე გადავიდა, რაც მე ადამიანებზე ინფორმაცია მაქვს, ყველა რომ დავიჯერო, მაშინ ყველა დასაჭერი იქნებაო.

ჩემთვის მისი მდგომარეობა გასაგები იყო, ხაბეიშვილი მას აიძულებდა ემოქმედა დინების საწინააღმდეგოდ. გასაგები იყო ისიც, რომ როცა შევარდნაძემ ამ მასალების შემოწმება დაგვაავალა, მას სურდა ხაბეიშვილის სახელის გატეხვა და დაშინება, მაგრამ რატომ? ეს კითხვა არ მასვენებდა. მან ჩვენ ამ მიზნით გამოგვიყენა, მაგრამ მწარეთ მოტყუვდა და ბოლომდე ვერ გათვალა ჩვენი შესაძლებლობანი („მოტყუვდა კაცი, რომელიც სხას ატყუებდა ყოველთვის“).

ფაქტია, ხაბეიშვილმა ის დააშინა და აიძულა მისი საქმის ბედის გადასაწყვეტად აშკარად მცდარი და უკანონო ნაბიჯი გადაედგა.

შევარდნაძის და ხაბეიშვილის გათვლა ძალიან მარტივი და პრიმიტიული იყო. თუ ხაბეიშვილის მიმართ მასალებს გამოვეყოფდით და ბუჩუკურის საქმეს სასამართლოში გადავცემდით, ისინი, როგორც ამ საქმის დიდოსტატები მისთვის უმაღლეს სასჯელს მიასჯევენებდნენ და ხაბეიშვილის მიმართ აღარ იარსებებდა ბრალდების ძირითადი მოწმე. მე ამ ფაქტს არ დავუშვებდი და არ გავზღებოდი მათი მონაწილე, ამას არ მაპატიებდა არც სინდისი და არც ნამუსი და არც ქართული საზოგადოებრიობა, რომელიც მოუთმენლად ელოდა საქმის შედეგს.

როცა შევარდნაძის რჩევა არ შევასრულე, მან სხვა ხერხს მიმართა სსრკ-ის გენერალურ პროკურორს სთხოვა ჩარეულიყო ამ საქმეში. მან ამ მიზნით თბილისში გამოგზავნა თავისი მოადგილე გამომძიების დარგში ო. სოროკა, რომელთანაც ერთად ა. ბარაბაძის კაბინეტში განვიხილეთ ბუჩუკურის საქმე. ჩემთან შეხვედრამდე სოროკა შეხვდა



შევარდნაძეს და მანაც შეხვედრაზე ზუსტად იგივე გადაწყვეტილების მიღება შემომთავაზა , რაც შევარდნაძემ, რაზედაც კატეგორიულად უარს ვუთხარი , მან მითხრა , რა არ მემორჩილებიო, ავიღებ და სხვას გადავცემ საქმეს გამოსადიებლად. მე გაღიზიანებულმა კატეგორიულად უთხარი ამ დავალებას არ შევასრულებ და საქმესაც ვერ გადავცემ სხვას გენერალური პროკურორის დაუკითხავად მეთქი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობდით ერთმანეთს და ასე დამაბულმა საუბარმა შეაცბუნა ის ა. ბარაბაძე ჩვენ საქმეში არ ერეოდა, თუმცა კი ვატყობდით, რომ წინააღდეგი არ იყო მითითება შემესრულებინა. თ. სოროკამ მითხრა- გენერალურმა პროკურორმა რომ გიბრძანოს, მაშინ რას იზავო? მე ვუპასუხე, თუ იქნება რეკუნკოვის წერილობითი მითითება , დავემორჩილები, სხვა რა გზაა მეთქი.

მითხრა, რომ მითითება იქნება , მეც ველოდებოდი მეორე დღის გათენებას და დაახლოებით დილის 11 საათზე რეკუნკოვმა დამირეკა და მითხრა; „ვახტანგ, სოროკამ ყველაფერი მომახსენა და იმოქმედე ისე, როგორც შენ თვლი საჭიროდ. იცოდე, რომ მე შენთან ვარ.“

საქმეზე გამოძიება გაგრძელდა და გამოძიების შედეგად უტყუარად გამოიკვეთა ხაბეიშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი და ამ მოქმედებისათვის ქრთამის მიცემის ფაქტები.

1985 წლის ივლისში შეიცვალა საქართველოს .კპ-ს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა. საქმეზე, სადაც ყველაფერი ნათლად იყო, გადაწყვეტილება უნდა მიმეღო მე. ეს გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხაბეიშვილი ჯერ კიდევ ცეკა-ს მდივნად მუშაობდა. მე ვიცოდი ცეკას ბიუროს წევრთა უმრავლესობის აზრი და დამოკიდებულება ხაბეიშვილის მიმართ. საჭირო იყო პროკურორის აქტიური მოქმედება საქმის ბედის საბოლოო გადაწყვეტისათვის. დავრჩი მარტო. არვისგან არავითარ რჩევას და მითითებას არ ველი, თუმცა რჩევაც , რომ მოეცა ვინმეს ან რაიმე მითითება ამ საქმის ბედის სხაგვარად გადაწყვეტისა , ვიდრე მე



ვფიქრობდი, მას არ შეეასრულებდი. ხაბეიშვილის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შესახებ იმდენი მტკიცება იყო შეკრებილი, რომ დასახევი გზა აღარ იყო. ვინც საქმეს გაეცნობოდა, დარწმუნდებოდა, რომ წინ მხოლოდ სასამართლოს კარი ჩანდა.

იმ მიზნით, რომ საქმის ბედი საბოლოოდ გადამეწყვიტა, და თავისუფალი მოქმედების საშუალება მქონოდა, მოვამზადე ინფორმაცია, სადაც გაანალიზებული იყო საქმეში არსებული მტკიცებულებები და წარუდგინე ცეკას ბიუროს. ბიურომ განიხილა ჩემი ინფორმაცია და ხაბეიშვილი გაანავისუფლეს ცეკას მდივნის თანამდებობიდან. ბიუროს სხდომაზე ხაბეიშვილის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ იმდენი რამე ითქვა, ჟიული შარტავას, ალექსი ინაურის, პავლე გილაშვილის და სხების სიტყვებში, რომ გაკვირვებული დავრჩი. როგორ ინახავდნენ მას ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ აწ გარდაცვლილი ხაბეიშვილი პასუხისგებაში მისცა და დააპატიმრა საქართველოს პროკურატურამ ჩემი ხელმძღვანელობით. საბრალდებო დასკვნა დავამტკიცე მე სასამართლო პროცესზე, სახელმწიფო მბრალდებელი გამოვყავი პირადად მე და არავითარი დავალება არ მიმიცია მისთვის, გარდა იმისა, რომ მკაცრად დაეცვა კანონის მითხოვნა. სწორედ მე დავამტკიცე დადგენილება განაჩენის კანონიერების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირის კპ-ს ცენტრალურ კომიტეტს მოხსენდა, თუ ამ საქმეზე საექვოდ მიაჩნია ვინმეს რაიმე, შემხვდეს და მელაპარაკოს. მე არ ვარ ის კაცი, რომ ზოგიერთი ჩემი ყოფილი კოლეგის მსგავსად სოროში შევძვრე და პასუხისმგებლობას გავექცემზად ვარ ყველას ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო და ყველას საკადრისი პასუხი გავცე.

ყალბ მონაჭოლს ავრცელებს ის, ვინც ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, თითქოს ხაბეიშვილი პატიაშვილის მითითებით იყო



მიცემული პასუხისგებაში. პატიაშვილი, რომ ცეკას პირველი მდივანი გახდა, იმ დროისთვის ძირითადი მტკიცებულებები შეკრებილი გვექონდა. გარდა ამისა მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე არ ვიყავი ის პროკურორი, რომელიც ვილაცეების სიამოვნებისათვის დაარღვევდა კანონის მოთხოვნებს და შეასრულებდა მათ საწინააღმდეგო ან პირადი ინტერესებიდან გამომდინარე დავალებებს. აქვე არ შემიძლია არ შევეხო პუბლიკაციის ავტორის ყალბ მონაჭორს, რომ თითქოს თავიდან საქმეში იხილებოდა ჯუმბერ პატიაშვილი. საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ ხაბეიშვილის დავალებით ცეკას ზოგიერთი მუშაკი შეეცადა შეეკრიბა მასალები თითქოს მეურნეობის დირექტორები ჯ. პატიაშვილისათვის აგროვებდნენ ფულს და გადასცემდნენ სოფლის მეურნეობის სამართველოს უფროსს გივი სომხიშვილს. ამ ფაქტზე ჩატარდა დეტალური გამოძიება. სომხიშვილი კატეგორიულად უარყობდა როგორც მეურნეობის დირექტორებთან, ასევე პატიაშვილთან ანგარებით კავშირს.

მახსოვს, ალბათ ხაბეიშვილის ზეწოლით, შევარდნაძემ გამოთქვა სურვილი, რომ დაგვეპატიმრებინა სომხიშვილი. გვეუბნებოდა, იტყვის, ალბათ, სიმართლესო. მეურნეობის დირექტორის ჩვენების საფუძველზე სომხიშვილი მივეცით პასუხისგებაში, მაგრამ მას არც ამის შემდეგ არც შემდგომში, როცა ციხიდან გამოვიდა პატიაშვილის მიმართ არავითარი ჩვენება არ მიუცია. რაც შეეხება ნოდარ ბუჩუკურს, მას არასდროს არსად კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში პატიაშვილის გვარი არ უხსენებია.

ვისაც უნდა დავეუმტკიცებ, რომ აწ გარდაცვლილი ხაბეიშვილი სისხლი სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო სწორად, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, განაჩენის კანონიერება სსრ კავშირის ყველა სასამართლო ორგანოს მიერ შემოწმდა და ჩათვალეს, რომ იგი სწორად იყო ცნობილი დამნაშავეთ.

შეიძლება, მკითხველმა არ იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა შევარდნაძის

თხოვნით ამ საქმეზე განაჩენის კანონიერების შემოწმება კანონის უხეში დარღვევით სხვებთან ერთად დაავალა საბჭოთა კავშირის სუკის ხელმძღვანელს კრიუჩკოვს და ცეკას პარტკომისიის თავმჯდომარეს პუგოს, ერთი სიტყვით, შევარდნაძე გაშიშვლდა, დაიწყო მისთვის დამახასიათებელი ანგარიშსწორება ჩემს მიმართ, რომ არ შევასრულე მისი კანონსაწინააღმდეგო მითითება ხაბეიშვილის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ.

F115-455
3

შევარდნაძე ამ შემოწმების პროცესში მე შემხვდა გუმბარიძის კაბინეტში და მიმტკიცებდა, რომ თუ ხაბეიშვილს გაამართლებდნენ შენ არანაირი საშიშროება არ გელისო, მე ველაპარაკე გორბაჩოვს და მან იცისო, რომ ამ საქმის გამოძიება ჩემი მითითებით დაიწყოვო. ამით მას სურდა ჩემი ყურადღება მოედუნებინა, მაგრამ მე ვხედავდი, როგორ ვერაგულად იქცეოდა ის.

ხაბეივილი სასმართლოსა და პროკურატურის გვერდის ავლით საკავშირო სუკ-მა მოიპარა რუსთავის კოლონიიდან და 4 თვის განმავლობაში უკანონოდ მალავდა მოსკოვის ციხეებში; ემებდნენ დარღვევებს, რომ ჩვენთვის ანგარიში გაესწორებინათ, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. მე ვამაყობ, რომ ამ დონეზე კანონიერების სრული დაცვით იყო ჩატარებული წინასწარი გამოძიება, მწარედ მოტყუვდნენ. თვით ხაბეიშვილსაც ვერ ათქმევინეს ისეთი რამ, რომ გამოეყენებინათ განაჩენის გაუქმებისათვის, თუმცა ის ყველაფერზე მიდიოდა და არ ერიდებოდა ცილისწამებლურ განცხადებების წერას.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძე გახდა ჩვენი ქვეყნის მეთაური, მან სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა ბოროტად და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობა აიძულა ერთი ხელის მოსმით გაეუქმებია საბჭოთა კავშირის ყველა დონის სასამართლოს მიერ კანონიერად ცნობილი განაჩენი ხაბეიშვილის მიმართ, ჩენდა



სამწუხაროდ ამ საქმეში არაპრინციპიალობა გამოიჩინა უზენაესი სასმართლოს თავმჯდომარემ ბატონმა მ. უგრეხელიძემ საქართველოს უგანათლებულესი და უსათნოესი იურისტის გურამ უგრეხელიძის შვილმა, რომელსაც მე ქართველ იურისტთა შორის ყველაზე დიდ პატივს ვცემდი. რას იზამ, თურმე ყველაფერი ხდება,

შევარდნამემ გაცილებით ადრე ჩაუყარა საფუძველი მექრთამეობისა და კორუფციის აყვავებას, მაგრამ, ამ განაჩენის გაუქმებით, მე ვფიქრობ, სრულიად შეგნებულად დაუდო საფუძველი მექრთამეებისათვის დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნას.

აქ მინდა მცირედი ყურადღება შევაჩერო იმ ჟურნალისტის მიმართ, რომლის კომენტარებითაც ქვეყნდებოდა ხაბეიშვილის ციხის ჩანაწერები. სამწუხაროა, რომ ასეთ საქმეს ეჭიდებიან ისეთი ჟურნალისტები, რომელთა პუბლიკაციებს მხოლოდ ზიანის მიყენება შეუძლია გაზეთის ავტორიტეტისათვის. თუ ის ცდილობდა ობიექტურად წარმოედგინა ხაბეიშვილის პიროვნება, რატომ შემოიფარგლა მხოლოდ მისი ჩანაწერებით და არ შეისწავლა რა საქმიანობას ეწეოდა ეს „პატიოსანი“ და უკანონოდ დასჯილი პიროვნება პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ. პუბლიკაციების ავტორმა ხომ კარგად იცოდა, (ყოველ შემთხვევაში უნდა სცოდნოდა), რომ მისგან დიდად დავალებულმა შევარდნამემ ციხიდან გამოსვლის შემდეგ აიყვანა და დანიშნა თავისი ფონდის ხელმძღვანელად. მას რომ ამ ფონდის საქმიანობაში ზედაპირულად მაინც ჩაეხედა ნახავდა, როგორ ხდებოდა ფონდში სახსრების მოზიდვა და შემდეგ ხაბეიშვილმა როგორ შეჭამა ყველაფერი და მიწასთან გაასწორა ფონდი შევარდნაძის შეგნებული წაყრუებით.

როცა პატივცემულმა ჟურნალისტმა ამდენი დრო და ადგილი დაუთმო ციხის ჩანაწერების პუბლიკაციას, თუ ასე აწუხებდა ხაბეიშვილის ბედი, რატომ არ დაინტერესდა როგორ გამოასალმეს ის სიცოცხლეს. ეს ხომ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. პუბლიკაციის დამკვეთს მინდა ვუთხრა, რომ ის შეცდა ჟურნალისტის არაცევაში. მე



არ ვამტკიცებ, რომ ჟურნალისტს მკვლელობის საქმის გამოძიება უნდა ჩაეტარებინა. ის რომ დაინტერესებულიყო, მიიღებდა ინფორმაციას იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე; ვის შეხვდა ხაბეიშვილი მკვლელობის წინა დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხში“ და არიან მნახველები შეხვედრის შემდეგ როგორ ხასიათზე გამოვიდა იქიდან, ის რომ დღეს დელეგაციასთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო ისრაელში, რატომ არ გაემგზავრა და ვისი თხოვნით და მითითებით ამოიღეს დელეგაციის შემადგენლობიდან.

საცოდავია ყველა, ვისაც სჯერა, რომ ხაბეიშვილი იმიტომ მოკლეს, რომ მისი სახლის ლიფტში დაემონტაჟებინათ ბომბი და პანაშვიზე მისული შევარდნაძე აეფეთქებინათ. რატომ არ მიექცა ყურადღება ვისთან ჰქონდა მას დავა გუდაურის დასასვენებელი კომპლექსის დაუფლებასთან დაკავშირებით.

სხვათა შორის გაზეთ „ახალი საქართველო“-ს 1998 წლის 2 ივლისის ნომერში მე ვწერდი, რომ ხაბეიშვილის ნეკროლოგზე ხელის მომწერთა დიდი ნაწილი მისი მკვლელობის თანამონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ჩემი ამ წერილით არავინ დაინტერესებულა და არ უკითხიათ რა მქონდა მხედველობაში.

მიმაჩნია, რომ სასცილო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი პუბლიკაციის ავტორმა, როცა შეეცადა წარმოედგინა, რომ თბილისის ზღვაზე ხაბეიშვილისა და მისი შვილის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით დამდგარი შედეგებისათვის ის პასუხისმგებელი არ იყო.

საყოველთაოდ ცნობილია, იახტა რომ მართო აუცილებელია იყო იახტკლუბის წევრი და გქონდეს იახტის მართვის უფლება. ხაბეიშვილის შვილი არც იახტკლუბის წევრი იყო და არც იახტის მართვის უფლება ჰქონდა უდაოდ დადგენილია, რომ ხაბეიშვილმა გამოიყენა რა ბოროტად თავისი თანამდებობა და აიძულა იახტკლუბის ხელმძღვანელი ზოიძე იახტის მართვა მისი შვილისთვის



საარჩევნო სისტემების ცენტრი

გადაეცა. იახტა, რომელსაც ხაბეიშვილის ვაჟი წესების დარღვევების მართავდა თბილისის ზღვაზე ანძით შეეხო მაღალი ძაბვის ელექტროსადენი და დადგა მძიმე შედეგი – დაიღუპა რამდენიმე კაცი, მძიმე დაზიანება მიიღო ხაბეიშვილის ვაჟმაც. საქმეზე გამოძიება დაიწყო ქალაქის პროკურატურამ. მე ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობით მევალებოდა რესპუბლიკაში მიმდინარე გამოძიებაზე ზედამხედველობა. შევარდნაძემ გამომიძახა ცეკაში და გამაფრთხილა ამ საქმის გამოძიებაში არ ჩავრეულიყავი, რადგან ხაბეიშვილი თვლიდა, რომ მე გამოვიჩენდი დაინტერესებას მის საწინააღმდეგოდ.

ხაბეიშვილს კი ჩადენილი ჰქონდა თანამდებობრივი დანაშაული, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. შემდეგ რა მოხდა, ეს იყო საოცრება; კანონის აბუჩად აგდება და საერთოდ კანონიერების ფეხქვეშ გათელვა, რაც ხაბეიშვილის მთელი პარტიული მოღვაწეობისთვის შევარდნაძის ხელმძღვანელობით დამახასიათებელი იყო. დააპატიმრეს და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იახტკლუბის ხელმძღვანელს ზოიძეს, იმიტომ, რომ შეასრულა ხაბეიშვილის კანონსაწინააღმდეგო მითითება. ხოლო მითითების ავტირისა და უშუალო დამნაშავის – მისი შვილისათვის ბუზიც კი არ აუფრენიათ. ამ დანაშაულს კიდევ სხვა დანაშაული მიუმატეს; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ხაბეიშვილის მითითებით ჩადენილი იქნა მთლი რიგი სისხლის სამართლის წესით დასჯადი სიყალბეები, რომელშიც ხაბეიშვილმა ჩაითრია ინსტიტუტის დირექტორი კ. ვირსალაძე და მთელი რიგი პროფესორ-მასწავლებლები. ამ საქმის სინამდვილე ეს არის.

როცა ამ მასალებს გაზეთის რედაქცია გაეცნობა, ალბათ მოიწვევს პუბლიკაციის ავტორს და გაირკვევა, რომ ყოველივე, რაც მან გააკეთა დაბალი კვალიფიკაციის ბრალია თუ სხვა ქვენაგრძნობა ამომრავებდა?




ეხლა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რატომ წამოიწყო ეს საკმეო შევარდნაძემ მისი ყველაზე ახლობლის და ფავორიტის ხაბეიშვილის საწინააღმდეგოდ.

მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ხაბეიშვილი წლების განმავლობაში გადახვეწილი იყო საქართველოდან – ცხოვრობდა და მუშაობდა ქალაქ მოსკოვში. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მისი უყურადღებობითა და დაუდევრობით საქართველოში დაიღუპა ხუთი ახალგაზრდა მთამსვლელი. შევარდნაძე გახდა თუ არა ცეკას პირველი მდივანი ხაბეიშვილი მოსკოვიდან ჩამოიყვანა და ცეკას აპარატში მისცა ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა, ხოლო მალე გადაიყვანა ქუთაისის ქალაქკომის პარტიის პირველ მდივნად (მე აქ შეგნებულად გვერდს უვლი ქუთაისში მის მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს). ქუთაისიდან დააწინაურეს ცეკას საორგანიზაციო განვითარების გამგედ, შემდეგ ცეკას მდივნად. საქართველოში მაშინ ყველას მიაჩნდა, რომ შევარდნაძე ხაბეიშვილს თვლიდა ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ თანამებრძოლად. და აი ასეთ ვითარებაში მე ვღებულობ დავალებას, რომ ხაბეიშვილის მიმართ ჩავატარო შემოწმებები მისი უკანონო მოქმედებების მხილების მიზნით.

მივიღე რა დავალება, მე სერიოზულად ვფიქრობდი გამერკვია შევარდნაძის დამოკიდებულების შეცვლის მიზეზი ხაბეიშვილის მიმართ და ყოველმხრივ ვცდილობდი მომეპოვებინა ინფორმაცია ამის შესახებ.

მალე ყველაფერი გხდა ცნობილი. სპეცსამსახურებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ გენერალური მდივნის ჩერნენკოს თანაშემწემ პრიბიტკოვმა საკავშირო ცეკაში მიიწვია ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი კოლბინი, როგორც საქართველოში ნამუშევარი და მასთან დააზუსტა როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოში ხაბეიშვილი. როცა მიიღო ინფორმაცია, რომ ხაბეიშვილი იყო გამოცდილი პარტიული მუშაკი და კარგი



ორგანიზატორი უთხრა, რომ აზრი ჰქონდა ხაბეიშვილი პრეზიდენტის
მდივნად დაენიშნათ და შევარდნაძე კი საკავშირო ცენტრის
გადაეყვანათ. კოლბინმა ეს საუბარი დაუყოვნებლივ შეატყობინა
შევარდნაძეს. როგორც ჩანს, ამ ინფორმაციამ შევარდნაძის გაღიზიანება
გამოიწვია, რომ მისი გვერდის ავლით ხდებოდა ყველაფერი და გასცა
ბრძანება დაუყოვნებლივ გამოეცათ ჩემთვის სიღნაღის მასალები.

ეხლა იმის შესახებ, თუ რამ აიძულა შევარდნაძე შეეცვალა პოზიცია
გამოძიების მიმდინარეობასა და განსაკუთრებით სასამართლოს
განაჩენის შემდეგ. მე აშკარად ვგრძნობდი, რომ უშიშარი გმირობას
შეთამაშებული შევარდნაძე ჩაფიქრებული იყო და მწარედ განიცდიდა
ხაბეიშვილის მკაცრად დასჯას. ვფიქრობ, ხაბეიშვილი და მისი ოჯახის
წევრები გარკვეულად აშანტაჟებდნენ მას. ხაბეიშვილის საქმის
გამოძიების დროს ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით უარყოფითად არ
წარმოჩენილიყო რაიმე ეპიზოდში შევარდნაძის როლი. შეიძლება ეს
ბევრს არ სიამოვნებდა, მაგრამ მაინც ჩვენი პოზიცია გვექონდა და
მკაცრად ვიცავდით მას. შევარდნაძის საქართველოდან წასვლის შემდეგ
ძალიან ბევრმა დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება
შევარდნაძის მიმართ და გამოთქვამდნენ მოსაზრებას ბოლომდე არ
გვემხილა ხაბეიშვილი, იმის შიშით, რომ შევარდნაძე არ
გალანძლიყო.

ხაბეიშვილის წინასწარი პატიმრობის დროს მე მას ოთხჯერ შევხვდი.
შეხვედრის მიზეზი სხადასხვა იყო; მის მიერ შიმშილობის გამოცხადება,
დედის განცხადება, რომ ის უკანონოდ იყო პატიმრობაში. ერთხელ კი
მასთან მისი თხოვნით მივედი. ვიცოდი, რომ ჩვენი შეხვედრა
დეტალურად ფიქსირდებოდა სუკის მიერ, ამიტომაც მას სხვადასხვა
კაბინეტებში ვხდებოდი. მაგრამ, როგორც ჩანს ყველგან იყო ჩართული
ჩამწერი აპარატურა. მისი რჩევით ბოლო შეხვედრის ადგილად
ავირჩიეთ შს ს-ს საგამომიებო სამსახურის უფროსის მ. ჯაფარიძის
კაბინეტი. ჩვენი საუბარი დაიწყო იმით, რომ ხაბეიშვილმა პრეტენზიები



გამოთვა, რომ გამოძიება მიმდინარეობდა ტენდენციურად, მითხრა რატომ არ ამხელთ ყველას, ვინც დანაშაულს ჩადიოდა და მხოლოდ ჩემს მიმართ აგროვებთ მასალებსო. მე მას უთხარი, რაც ჩვენთვის არის ცნობილი ყველაფერი დეტალურად მოწმდება და თუ თქვენ რაიმე ინფორმაცია გაგაჩნიათ ვინმეს მიმართ, ჩვენ მზად ვართ ისიც შევამოწმოთ მეთქი. მან მითხრა, თუ ვიტყვი როგორ ჩავიტანე კახეთის ერთ-ერთი რაიკომის მდივნის მიერ მოტანილი ოთხასი ათასი მანეთი მოსკოვში და გადავეცი ბრუენევის შვილიშვილს, შეამოწმებთო? მე ვუპასუხე; თუ დაწერ- შევამოწმებთ, მაგრამ უნდა იცოდე, რასაც დაწერ, უნდა დაამტკიცო, თორემ ახალი ბრალდება დაგემატებათქო. მე შეატყვე, რომ მას ჩემი დაშინება უნდოდა. გულახდილად უნდა ვალიარო, მე მართლაც არ მინდოდა შევარდნაძე რამეში გალანძღულიყო დამის სახელს ჩირქი მოსცხებოდა, თორემ ეს ძალიან ადვილი იყო. ამას გრძნობდა საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს წევრების, რომელთაგან მე ხშირად შენიშვნებს ვდებულობდი, რატომ არ ვამხელდი ბოლომდე აბეიშვილისა და შევარდნაძის კავშირებს.

ხაბეიშვილთან შეხვედრის მეორე დღეს მოსკოვიდან დამირეკა გენერალურმა პროკურორმა და მითხრა, თქვენთან მოდის საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე და შეახვედრე ხაბეიშვილსო. მე უკვე მივხვდი, რომ მათთვის ცნობილია ჩემი ხაბეიშვილთან შეხვედრისა და საუბრის შინაარსი, რომლითაც, როგორც ჩანს, უადრესად დაინტერესებული იყო მოსკოვი და მათთვის ცნობილი ინფორმაციის დასაზუსტებლად მოდიოდა საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე. ბოლოს და ბოლოს გენერალური პროკურორიც ჩამოვიდა და მთელი დღის განმავლობაში ჰკითხავდა მას. ხაბეიშვილმა მასზე საშინლად უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვა, მისი არეულ-დარეულ ჩვენებებით. საქართველოს მთავრობამ რეკუნკოვი კრწანისის რეზიდენციაში მიიღო და მთავრობის წევრებთან შეხვედრის შემდეგ მე მასთან დავრჩი და დაახლოებით ორი-სამი საათის განმავლობაში ვსაუბრობდით. ეზოში ვსეირნობდით და მან



მითხრა, როცა ხაბეიშვილს შეხვდი (დამისახელა ზუსტად რიცხვი), თვენს შორის თუ შედგა ასეთი საუბარიო და გადმოიხსენი საუბრის ზუსტი შინაარსი და მკითხა, თუ გჯერა შენ ესო. მე ვუპასუხე შემოწმების გარეშე გადაჭრით რაიმეს თქმა მნელია მეთქი, ისე არ მინდა დავიჯერო, მე მგონი, უფრო ჩემი დაშანტაჟებისათვის გააკეთა მეთქი. მან გაიღიმა და მითხრა – მე შენი მესმისო.

ჩანს , ამ საქმით დაიტერესებული იყო საკავშირო ცეკას მეორე მდივანი ლიგაჩოვი, რომელსაც გულზე არ ეხატებოდა შევარდნაძე, მაგრამ კარგი დამოკიდებულედა ჰქონდა ჯ. პატიაშვილთან,რაც ცხადია აღიზიანებდა შევარდნაძეს და რა საკვირველია , შევარდნაძე პატიაშვილს ზოგიერთი მისი კადრების მიმართ უნდობლობასა და ლიგაჩოვთან მეგობრობას არ აპატიებდა. ამას ყველა გრძნობდა და მან შესანიშნავად გამოიყენა 9 აპრილის ტრაგედია. ყველას ახსოვს, ალბათ,როგორ სადისტურად მოექცა პატიაშვილს , როგორ ატარა ორგანიზაციებში და როგორ ალანძვინა 9 აპრილის შემდეგ გამწარებულ ხალხს კინოსტუდიაში, მეცნიერებათა აკადემიაში და სხვაგან, სადაც ყველა ითხოვდა პატიაშვილის თანამდებობიდან გადადგომას. ეს შევარდნაძეს აწყობდა. შემდეგ კი ცეკას პლენუმზე, როცა ცეკას წევრებმა უარი განაცხადეს პატიაშვილის განთავისუფლებაზე, როგორ ტექნიკურად აიძულა პატიაშვილი პრინციპულად მოეთხოვა განთავისუფლება.

გაზეთ „რესპუბლიკაში“ 1995 წლის 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულია ჩემი წერილი, სადაც ვწერდი – თუ 9 აპრილს საქართველო დღევანდელ მდგომარეობამდე უნდა მიეყვანა და ის ასე შორს მიმავალ მიზანს ისახავდა, იგი ჩვენი ერის ცხოვრებაში უაღრესად უარყოფით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ სანამ ასეთ დასკვნას გავაკეთებდეთ უნდა გავაანალიზოთ 1998 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოში, მის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტები, მოვლენები, ვინ, სად, როდის



გადაუხვია იმ გზიდან, რომელსაც საქართველო დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისკენ მიჰყავდა. მხოლოდ ასე მივიღებთ შედეგს, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ დასკვნა; ვინ საით წაიყვანა საქართველო, ვინ როგორ გამოიყენა 9 აპრილს დაღვრილი ადამიანთა სისხლი.

როგორ გამოიყენა შევარდნაძემ 9 აპრილის ტრაგედია პატიაშვილისათვის ანგარიშის გასასწორებლად მე მგონი მკითხველისათვის გასაგებია. ეხლა იმის შესახებ რატომ ვერ ავიცილებთ 9 აპრილის ტრაგედია თავიდან თუ ამის გაკეთბა შეეძლებოდა 22-29 ნოემბრის გაცილებით მასშტაბური ანტი სამთავრობო აქციის დროს. იმიტომ ხომ არა რომ პატიაშვილი და საქართველოს მთავრობა ამ დროს თბილისში არ იყო და მოსკოვში მონაწილეობდნენ სახალხო ყრილობის მუშაობაში და ის შემდეგი საქართველოს ხელისუფლებისათვის არ მოჰყვებოდა რაც 9 აპრილის აქტის შედეგად მოჰყვა მათ მიმართ.

ეხლა მინდა მკითხველს შევახსენო როგორ ვითრდებოდა მოვლენები. 1987 წლის 22-29 ნოემბრის აქციას ხელმძღვანელობდა თავისი შეუპოვრობით ცნობილი გია ჭანტურია, მათთან ერთად იყვნენ კოსტავა, გამსახურდია, წერეთელი და სხვები. შიშშილობდა 10000-ზე მეტი ადამიანი. პროცესები იყო თითქმის უამრავი, ყოველ დღე სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოში გადაჰყავდათ 10-15 დაუძღვრებული მოშიშშილე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და აქციის მონაწილეებთან კონტაქტის დასამყარებლად შექმნილი იყო შტაბი, პარტიული საბჭოთ და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების შემადგენლობით შტაბს ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ბატონი ნუგზარ ფოფხაძე, რომელმაც კოლოსალური სამუშაო ჩაატარა იმისათვის, რომ ეს აქცია მშვიდობიანად დამთავრებულიყო, სისტემატური კონსულტაციები ჰქონდა მოსკოვში მყოფი რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, განსაკუთრებით აქტიურობდა ინტერესდებოდა



შექმნილი მდგომარეობით პოლიტიუროს წევრი შევარდნაძე, დღეში 2-ჯერ სამჯერ უკავშირდებოდა მას ფოფხაძე და აცნობდა შექმნილ მდგომარეობას, 28 ნოემბერს დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, სანაპიროზე სიონის ტაძრის მიდამოებში ტანკებიც გამოჩნდა და ამ დროს შევარდნაძემ შეძლო გორბაჩოვი დაერწმუნებინა, რომ საჭირო იყო მას მიემართა ქართველი ახალგაზრდობისათვის გარკვეული დაპირებით და მიაღწია კიდეც ამას. მახსოვს როცა აქციის მონაწილეებმა 29 ნოემბერს მოისმინეს მიმართვის ტექსტში მშვიდობიანად დაიშალნენ და წავიდნენ სახლებში.

ბუნებრივია იბადება კითხვა რატომ არ გამოიჩინა შევარდნაძემ ასეთივე დაინტერესება, რომ მშვიდობიანად დამთავრებულიყო 9 აპრილის აქცია, რატომ არ აიძულა პოლიტიუროს წევრები გორბაჩოვი, იაზოვი და სხვები მიემართად ქართველი ახალგაზრდებისათვის, მოეწოდებინათ მათთვის წესრიგისაკენ თუნდაც თანამშრომლობის დაპირებით, თუ ეს გააკეთა ნოემბერში, რატომ არ გააკეთებდა აპრილში, თუ ფიქრობდა რომ, მოსალოდნელი შედეგი სხვა სასურველ შედეგს გამოიღებდა.

მნელია შევარდნაძეს ბრალი დასდო, რომ მას 9 აპრილის ტრაგედიის შედეგის დადგომა აწყობდა, მაგრამ მის აღსაკვეთად რომ აქტიური ზომები არ მიიღო, როგორც პოლიტიუროს წევრებმა და ქართველმა კაცმა ეს ფაქტია.

ეხლა იმავე ჟურნალისტმა ახალი პუბლიკაციები წამოიწყო თენიშვილისა და სხვათა საქმეზე. ეტყობა იმ პუბლიკაციით რომელიც ხაბეიშვილის ჩანაწერებს ეხებოდა ცრუ პოპულარობა მოიპოვა. ეხლა ახალ კლიენტებს შეიძინს და არანაკლებ იაფფასიან მასალას შესთავაზებს მკითხველს. მე ვურჩევ ამ ჟურნალისტს სანამ პიროვნებაზე პუბლიკაციებს ამზადებს შეისწავლოს ამ პიროვნების წარსული და როგორ მოხდა მათი კომუნისტური აღზევება. მე ვწუხვარ, რომ ვუპირისპირდები ადამიანებს, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს

დანაშაულისათვის, მაგრამ როგორ შეიძლება რაღაც სენსაციების შექმნა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. არა მგონია ექვემდებარება ჟურნალისტმა გაზეთს მკითხველი შემატოს ან იმ პირობების რეაბილიტაცია მოახდინოს ვინც კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იყო მსჯავრდებული. ეხლა რასაც მე დაწვერ როგორ დანიშნა მახარადის რაიკომის პირველ მდივანად ოთარ თენაიშვილი შეიძლება ბევრმა არ დაიჯეროს, იმიტომ რომ ამ დროს ადამიანების თანამდებობაზე დანიშვნას დიდი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით უდგებოდნენ. მახარადის რაიონის პროკურატურად მუშაობდა გ. დანელია, რომელიც ჩემთან მოვიდა მიღებაზე და მთხოვა მერჩია მისთვის როგორ მოქცეულიყო. მითხრა რომ საკითხი ეხებოდა რაიადმასკომის თავჯდომარის თენეიშვილის სახელმწიფო ქონების დატაცებაში მონაწილეობას, დაპატიმრებული ჰყავდათ რაიადმასკომის მთავარი ბუღალტერი, თუ არ ვცემა ჩეიშვილი, რომელსაც მითვისებული ჰქონდა 80000 მანეთი, მთხზვა მერჩია როგორ ემოქმედა რაიადმასკომის თავჯდომარის თენეიშვილის მიმართ, რომელსაც ჩეიშვილი ამხელდა როგორც თანამონაწილეს. მე მას ვურჩიე ვინაიდან თენეიშვილი იყო რაიონული საბჭოს დებუტატი მოეტხოვა მისი პასუხისგებაში მიცემისათვის რაიონული საბჭოს თანხმობა და დაუყოვნებლივ შეეტანა იმფორმაცია პარტიის რაიონულ კომიტეტი, რაც მან შეასრულა, მაგრამ ამის შემდეგ ხდება დაუჯერებელი რამ, როცა პროკურორმა მოვალეობა შეასრულა და გააკეთა ის რაც მას ვურჩიე, რაღაც 2 თუ 3 დღეში ცენტრალურ კომიტეტში შევარდნაძემ ცეკაში გამოიძახა მახარადის რაიკომის მდივანი დვალიშვილი და ადმასკომის თავჯდომარე თენეიშვილი, დვალიშვილი დანიშნა ფინანსთა მინისტრად, როლო თენეიშვილი რაიკომის პირველ მდივანად. როცა შ.ს. მინისტრმა შოთ გორგაძემ პატიაშვილის კაბინეტში გამაცნო მახარადის რაიონში ჩაის დამზადებაში დაშვებული სიყალბეების და მექრთამეობის მასალები, მე არ გამკვირვებია და ეჭვიც არ შემპარვია მათ სისწორეში, თუმცა ცოტა კი შევიშმუშნე და ვთქვი ამას, რომ შევარდნაძე გაიგებს ალბათ იტყვის ჩემს კადრებს ავიწროვებენო, მაგრამ



მე სხვა გზა არ მქონდა, მას პასუხი უნდა ეყო ჩადენილი დანაშაულისათვის.

გამოძიების შედეგად გამოვლინდა, რომ რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვინც მეჩაიეობას ეწეოდა დანაშაულში იყო ჩაბმული, როცა ხალხის დაკითხვები დაიწყო მასიურად ყველა იმხილებოდა დანაშაულში და ჩაის პლანტაციებში გასვლაზე უარს აცხადებდნენ. ამასთან დაკავშირებით პატიაშვილისაგან შენიშვნა მივიღე, მთელი გურია ხომ არ გინდა დაიჭიროო. ერთი სიტყვით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ რომ მასშტაბური გამოძიება ჩაგვეტარებინა რაიონში, სადაც 17 ჩაის ფაბრიკა იყო და ყველას ყალბათ ჰქონდა გაფორმებული ჩაის დამზადების დოკუმენტები, უბედურება დატრიალდებოდა.

თენიშვილი იმხილებოდა სხვადასხვა პირისაგან ქრთამის აღებაში, მათ შორის ჩიტაის პოლიციის უფროსად დანიშვნაში ოთხმოციათასი მანეთის მიღებაში. მისი ბინიდან ამოღებული იყო ქრთამად მიღებული ნივთმტკიცებულებები.

თენიშვილი გაკვირვებულია, რომ გაზეთში მიმდინარეობს მასალების გამოქვეყნება ხაბეიშვილისა მისი საქმის შესახებ და მე და შოთა გორგოძე არ ვეხმაურებით ამ ფაქტებს. გაცილებით ადრე მინდოდა გამომეთქვა ჩემი აზრი ამ პუბლიკაციების თაობაზე და შემხილებინა ის სიყალბეები რაც გაზეთში ქვეყნდებოდა, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრების დაჯინებული მოტხოვნისა და განსაკუთრებით შვილიშვილის მდგომარეობის გათვალისწინებით და იმის გამო, რომ ზნეობრივად სწორად არ მიმაჩნია აშკარა დამნაშავეს და სასჯელმხოხდილ ადამიანს პროკურორი, თუნდაც ყოფილი „გაზეთის ფურცლებზე ეპაექროს თავს ვიკავებდი, მაგრამ რადგან თენიშვილი მოითხოვს ჩვენს გამოხმაურებას და ჩვენს იმ დროინდელ საქმიანობას შეფასებას აძლევს პროფესიონალი დამნაშავეის პოზიციიდან ვეხმაურები მის გამოწვევას.



საარჩევნო
სისტემა

ზენდაცემული ადამიანისგან ჩემი და შოთა გორგოძის იმდროინდელი საქმიანობის შეფასებას არც ველოდი. ეს ნომ ის პერიოდი, როცა ქვეყნის ხელისუფლების ხელშეწყობით მასიურად იყო გავრცელებული სიყალბეები და სახალხო დოვლათის დატაცება. ჩვენს მიერ მხილებული და სასმართლოს მიერ მსჯავრდებულები ყოფილი თანამდებობის პირების მიერ ჩვენი იმდროინდელი საქმიანობის 20-25 წლის შემდეგ შეფასება იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს ჩვენ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ დამნაშავეებზე. ეხლა ახმაურნენ იმის გამო, რომ მათში გაიგვიზა შურისძიების გრძნობამ და ფიქრობენ დიდი დროის გავლის გამო ვპასუხის გამცემი არ გამოჩნება. თენიეშვილი და ძმანი მისნი რომ მოტყუვდნენ ამაში შევეცდები მკითხველი დავარწმუნო.

საერთოდ უმადურობას საზღვარი არ აქვს. სწორედ ჩემი და შოთა გორგოძის პრინციპულმა პოზიციამ გადაარჩინა სასჯელის უმადლეს ზომას ხაბეიშვილი, თენიეშვილი, მათ მაგვარი არაერთი და ორი პიროვნება. ვაკმაყოფილებ რა, თენიეშვილისა და მისი მსგავსი ადამიანების სურვილს გამოვეხმაურო მათ შესახებ გაზეთში გამოქვეყნებულ ფაქტებს, მინდა მკითხველს მოვახსენო ვინ იყო თენიეშვილი და რატომ მიეცა ის სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ჩემი ხანგძლივი მუშაობის პერიოდში ასეთი დაზნული და უთავმოყვარეო კაცი როგორც თენიეშვილი იყო არ შექმნებდრია. მას არაფრის თქმას არ ავალუბდა, ის კი პირიქით ცდილობდა, თუ რომელიმე თანამდებობის პირს იცნობდა გაელანძდა ის და ცრუ დასმენა გაეკეთებინა მის მიმართ. როცა მე მომახსენეს, რომ თენიეშვილმა ჩვენება მისცა, რომ ხაბეიშვილისთვის ქრთამად 100000 მანეთი აქვს გადაცემული მე თანხის რაოდენობამ დამაფიქრა, მაგრამ დავინტერესდი კიდევ იმიტომ, რომ ქვეყანა გრძნობდა რომ თენიეშვილი რაიკომის პირველ მდივნად არ იყო დანიშნული. მე მას ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად შევხვდი. მაინტერესებდა



სინამდვილეს შეეფერებოდა თუ არა მისი ჩვენება. თუ მას შორს ადამიანობა, ამ ფაქტს გაიხსენებს ან რა დაავიწყებდა. მე ვთხოვდი დაესაბუთებინა, რისთვის მისცა ქრთამი ხაბეიშვილს. მიმტკიცებდა, რომ ქრთამი მივეცი იმისთვის, რომ მასთან კარგი ურთიერთობა მქონდაო. მე ხომ კარგად ვიცოდი უკანონოდ მოხდა რაიკომის მდივნად მისი დანიშვნა. იმის მაგივრად, რომ ციხეში წასულიყო, რაიკომის მდივნად დანიშნეს. მე მას ვუთხარი, შენ ხომ კარგად იცი რომ იმის მაგივრად, რომ დანაშაულის ჩადენისათვის სამუშაოდან გაენთავისუფლებინე, რაიკომის პირველ მდივნად დაგნიშნეს მეთქი. ხაბეიშვილი ხომ არ დაგეხმარა ამ საქმეში მეთქი. მან კატეგორიულად განმიცხადა - ჩემი რაიკომის მდივნად დანიშვნა ხაბეიშვილისათვის არავის უკითხავსო. შევეკითხე აბა ვინ შეძლო შენთვის დანაშაული ეპატიებინა და რაიკომის მდივნად დაენიშნე მეთქი, მიპასუხა, ამ დღესვე რომ დამხვრიტონ არ ვიტყვიო. ეხლა რომ ზაღპრებს ყვება მაიძულესო, ამაზე უკეთესი საშუალება როდის მიეცემოდა ; თუ რაიმე ჰქონდა სათქმელი, ეთქვა მაშინ, წინაშე ხომ რესპუბლიკის პროკურორი იყო. ჩემთვის, რასაც დღეს ამტკიცებს, მსგავსი არაფერი უთქვამს, მაგრამ განცხადებადაწერა, სადაც გააკეთა რამდენიმე თანამდებობის პირზე ცრუ დასმენა. არა მგონია თენეიშვილის მონაჭორი ვიმემ დაიჯეროს. თუ საჭირო გახდება, მე შემძლია ჩემთან შეხვედრის დროს მის მიერ ჩემზე გადმოცემული განცხადება ვაჩვენო, ვისაც ამის სურვილი გაუჩნდება. თუმცა კაცს, რომელიც ასე ცრუობს არაფრის შერცხვება. იზოლაციიდან დაბრუნების თანავე გამომძიებელს უთხარი, რომ თენეიშვილი ცრუ ჩვენებას იძლევა და არც ხაბეიშვილისათვის ქრთამის სახით ფული არა აქვს გადაცემული მეთქი. მე ამ საკითხზე ხაბეიშვილსაც შევხვდი და ვკითხე რატომ დანიშნეთ ასეთი დარღვევებით თენეიშვილი რაიკომის მდივნად მეთქი, მან მიპასუხა, რომ მის დანიშვნასთან არავიანთი კავშირი არა მაქვს, ჩემთვის ამ კითხვაზე არავის აუაფერი უთქვამსო, როცა ვკითხე აბა როგორ და ვინ დანიშნა მეთქი, ირონიულად გაიღიმა და მითხრა ეგ თქვენ გაარკვიეთო.



აი ასეთ ადამიანს ესარჩლება და მის რეაბილიტაციას ცდილობს ჟურნალისტი, რომლის ჟურნალისტური კეთილსინდისიანობა რედაქციამ შეამოწმოს. ვფიქრობ, დურუ ხურცილავა ცოცხალი რომ იყოს, ამის მსგავსი ჟურნალისტები ალბად, მის რეაბილიტაციასაც შეეცდებოდნენ.

თენეიშვილის საქმეზე გამოძიება ჩატარდა მაღალკვალიფიციურ დონეზე. ის უდაოდ მხილებული იყო მექრთმეობასა და თაღლითობაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მახარაძის რაიკომის მდივანი დვალიშვილი იყო უაღრესად პატიოსანი და საქმიანი პიროვნება, მასთან რაიადმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა ო. თენეიშვილი. დვალიშვილი როგორ წარმოიდგენდა, რომ მისი კანონიერი გადაწყვეტილებით ისარგებლებდა თენეიშვილი და დაიწყებდა ფულის გამოძალვას მოქალაქეებისაგან. დვალიშვილი მას, როგორც ადმასკომის თავმჯდომარეს უთანხმებდა და რჩევას ეკითხებოდა ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, თენეიშვილი კი ამას იყენებდა თავის სასარგებლოდ; იყო რა დანაშაულებრივ კავშირში მაღაზიის გამყიდველ პ. ჟორდანიასთან, მას წინასწარ აცნობდა, რომ ესა თუ ის პიროვნება სად ინიშნებოდა. მისი დაკვეთით ჟორდანია მიდიოდა იმ პიროვნებასთან და დახმარებას ჰპირდებოდა თანამდებობაზე დანიშვნაში, რისთვისაც სძალავდა მათ გარკვეულ თანხებს, რომელსაც თენეიშვილთან ინაწილებდა (ქალაქვაჭრობის დირექტორი გაზის კანტორის უფროსები და სხვა) ,იმისათვის, რომ ჟორდანიას თენეიშვილის ნდობა დაემსახურებინა, სისტემატიურად გადასცემდა მას ქრთამის სახით სვადასხვა ნივთებს, რომელიც გამოძიების პროცესში ამოღებული იქნა მათი ბინებიდან (ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები და ძვირფასი ფოტოაპარატები) ისეთი ნივთები, რომელიც საქართველოში იმ დროისათვის საქართველოში ძნელად იშოვებოდა.

თენეიშვილი ახლა ამტკიცებს და თავისი დაპატიმრება უნდა გაამართლოს იმით, რომ თითქოს გორგოძე იყო დაინტერესებული მისი

დაპატიმრებით, რადგან მილიციის უფროსად არ მიიღო გერმანე თალაკვაძე, ნამდვილ მიზეზს ხომ ვერ დაასახელებს რადგან ჟორდანიას მეშვეობით 80000 მანეთი აიღო ქრთამად მილიციის უფროსად ჩიტის დანიშვნისათვის. იმ პირთა შორის ვინც იმ დროს თენეიშვილთან ერთად იყო დაპატიმრებული, ყველაზე შედარებით წესიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა ბაბილოძე, რომელიც მთელი გამოძიების პროცესში პირზე ადგებოდა თენეიშვილს და ამტკიცებდა, რომ მას ქრთამს აძლევდა. ჩიტაია, ბაბილოძე, ჟორდანიას და სხვები, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან სხვადასხვა სასამართლოების მიერ დამაჯერებლად ამხელენ თენეიშვილს ქრთამის აღებაში.

სასჯელი რომ მოიხადა ჩემთან მოვიდა ჩიტაია მე მას ვთხოვე გულახდილად ეთქვა ჩემთვის ნამდვილად გადასცა თუ არა ქრთამი თენეიშვილს, რომელმაც ქრთამის გადაცემის ფაქტი სასჯელის მოხდის მერეც დაადასტურა.

თენეიშვილი ამტკიცებს, რომ თითქოს მას ხშირად ხვდებოდა ინაური, გორგძე და რაზმაძე. ჩვენ სამივემ კარგად ვიცოდით რას წარმოადგენდა თენეიშვილი და მასთან შეხვედრის სურვილი, როცა რაიკომის მდივანი თაღლითობაში იმხილებოდა ოპერატიულად არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა. მე არ მახსოვს პროკურატურაზე აღრიცხულ პატიმარს ჩემთან შეთანხმების გარეშე შეხვედროდა ინაური, არც ის მახსოვს ინაურს თენეიშვილთან შხვედრის სურვილი გამოეთქვა, ამას დაადასტურებს, ალბად, შოთა გორგძემც, რომელსაც ვიცი, რომ ძალზე ბევრი მასალა გააჩნია თენეიშვილის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ.

ქვეყანაში მართლმსაჯულების დღევანდელი დონის მომსწრე პირები რომ არქივში იქექებიან, წარსულის შეცდომებს ეძებენ და ტენდენციურად აშუქებენ მასალებს, დამერწმუნებით ეს დადებით შედეგს არ გამოიღებს.

ვფიქრობ, დანაშაულის ჩადენაში ასე უტყუარად მხილებული პირები, როგორც თენეიშვილი და სხვები არიან, რომელთა საქმეებზე



წინასწარი გამოძიება ჩატარდა უაღრესად სრულყოფილად და კვალიფიციურად კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, აგრეთვე მსჯავრდებულნი არიან სასამართლოების მიერ და 20 წლის შერე აცხადებენ პრეტენზიებს, თითქოს მათი საქმეების გამოძიების დროს ადგილი ჰქონდა დარღვევებს, მე წარმომიდგენია გარკვეული წლების შემდეგ რას იტყვიან ის პირები, რომელთა მიმართ საქმის გამოძიება და სასამართლოში განხილვა ბოლო წლებში ჩატარდა. ეჭვი არ მეპარება გამოძიების და საქმის სასამართლოში განხილვის დღევანდელი დონის გათვალისწინებით არ აღმოჩნდება პიროვნება, რომელიც შეძლებს ნამდვილ დამნაშავეს დაუმტკიცოს, რომ მის მიმართ კანონის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ვფიქრობ, დადგა დრო საქართველოს ისტორიისათვის შეიქმნას დოკუმენტი, სადაც გაანალიზებული იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც შეეხება ე. შევარდნაძის ქვეყნის მეთაურად მოღვაწეობის პერიოდს. ეს მითუმეტეს საჭირო არის რადგან დღევანდელი ხელისუფლების წარმატებები ყოველთვის განიხილება შევარდნაძის მოღვაწეობის ფონზე. მონაცემები ყოველთვის მიეწოდება მოსახლეობას რა იყო და რა არის დღეს. ზვიადისტები ცოტა სხვანაირად აფასებენ შევარდნაძის მოღვაწეობას. ისინი თვლიან, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს მონაკვეთი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის და უკუსვლის პერიოდია. ერთი სიტყვით, ქართველ ხალხს შევარდნაძის მოღვაწეობის პერიოდის შესახებ არა აქვს ერთგვაროვანი შეფასება, საჭიროა შეიქმნას დოკუმენტი სადაც ობიექტურად იქნება გადმოცემული რა გააკეთა კარგი შევარდნაძემ საქართველოსთვის და რა ზიანი მიაყენა მისმა არაკომპეტენტურობამ ქვეყანას, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიკურად და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, რა გააკეთა ქვეყანაში სწორი მმართველობითი აპარატის ჩამოყალიბებისა და მისი მართვის სისტემის შემუშავებისათვის, სასამართლო აპარატის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის, ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, იყო თუ არა საერთო მცდელობა სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისათვის, რამ შეუწყო ხელი რომ მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანა ჩაფლული იყო კორუფციის ჭაობში, ხომ არ ატარებდა შევარდნაძის სისტემატური



მოწოდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების და გარკვეული წლების კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებული გამოცხადების შესახებ ნორმალურ ხასიათს და რა მიზანს ისახავდა ის-ხალხის მოტყუებას, თუ ატარებდა პროპაგანდულ ხასიათს და იჩენდა მოჩვენებით პრინციპულობას. შევარდნაძის გარდა ხო იყო ქვეყანაში ძალები, რომელთა პირდაპირი მოვალეობა იყო ამ სიმახინჯეები წინააღმდეგ ბრძოლა. როგორ აკომპლექტებდა კადრებით ამ ორგანოებს შევარდნაძე, პირადი ერთგულების თუ საქმიანი ნიშნის მიხედვით და როგორ წარმართავდა და აკონტროლებდა მათ საქმიანობას, რა იყო მიზეზი, რომ შევარდნაძემ ქვეყანაში დაუშვა ტერორიზმის აღზევება, რომელიც მას ბუმერანგით დაუბრუნდა უკან. რატომ არ ატარებდა მიზანმიმართულ ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ, რატომ არ მიცა შევარდნაძის ხელისუფლებამ მწვავე პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება გია ჭანტურისა, ქალაქის პროკურორის მიხეილ ქურდაძის, გია გულუას, ხაბეიშვილის, დუდუ დადიანის, კახი ასათიანის და სხვათა მკვლელობებს და შემოიფარგლა მხოლოდ ნეკროლოგების გამოქვეყნებით. რამ აიძულა მისი ქვეყნის მეთაურის პოსტზე ყოფნის დროს არ აღეკვეთა მხედრიონის პარკში და ახალგაზრდობის მასიური მკვლელობები. შეფასება უნდა მიეცეს მის არაკომპეტენტურობას აფხაზეთში ომისა და მის შემდგომ პერიოდში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით მოგვარებისათვის.

ყველაფერს ამას შეფასება უნდა მისცეს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.

მე თქვენ მოგმართავთ ბატონო პრეზიდენტო, გაითვალისწინეთ რომ ყველა პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობას როცა ის მიდის პოსტიდან, საზოგადოება აძლევს შეფასებას, ხალხში არაფერი არ იკარგება, ამიტომ ყველა პოლიტიკური მოღვაწე მოვალეა ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს, მათ შორის თქვენც.

თქვენ ძალიან კარგათ იცით ჩემი დამოკიდებულება თქვენი პიროვნების მიმართ, გულწრფელად განვიცდი დღესაც თქვენი



მოდვაწეობის ნიუანსებს. მე ჯერ კიდევ 2000 წლის იანვარში, როცა თქვენ საქართველოს პარლამენტის წევრი იყავით, გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში გამოვთვი ჩემი დამოკიდებულება თქვენი პიროვნების მიმართ. მე დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ თქვენ ხართ უადრესად განათლებული, შეუპოვარი და პრინციპული პიროვნება, რომელსაც უადრესად განვითარებული გაქვთ დამოუკიდებელი აზროვნება, ხართ მიზანსწრაფული, არ შეუშინდებით დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლის გზაზე წარმოშობილ წინააღმდეგობებს და ყვალა ძალას გამოიყენებთ მათი გადალახვისათვის, არ მოერიებით საკუთარი აზრის გამოთქმას ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ვისაც არ უნდა ეხებოდეს ის და უდაოდ შეგწევთ უნარი, რაც მთვარია თქვენი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის მიმართ დამაჯერებლად დაასაბუთოთ. რაც ყველაზე მისასალმებელია, ხართ დამოუკიდებელი, სუფთა და უპატიოსნესი პიროვნება, რომელიც არავისგან არ იმართებით, გაგაჩნიათ შესანიშნავი უნარი, რასაც ფიქრობთ და განიცდით მოურიდებლად განაცხადოთ ყველა დონეზე. რაც პირადათ მე და ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს უდაოდ მოსწონს, გახლავთ ის, რომ თქვენთვის არარსებულა და არ არსებობენ ავტორიტეტები ვის ნაკლსაც შეამჩნევთ და პირუთვნელად არ ეტყვიან ამის შესახებ. რაც შეეხება ოპოზიციონერებისა და სხვა კრიტიკოსების მიმართ საკუთარი აზრის გამოთქმის ფორმებს, დარწმუნებული ვარ ეს დაიხვეწება ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მოსვლასთან ერთად.

ბატონო პრეზიდენტო ამკარად გამოიკვეთა თქვენი როლი ჩვენი ქვეყნის დადებითი იმიჯის შექმნისა და მისი საერთაშორისო ასპარეზზე გატანის საქმეში. დღეს საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტს თითქმის ყვალა ქვეყანაში იცნობენ და მიესალმებიან. ფასდაუდებელია თქვენი ზრუნვა, თავდადებული ბრძოლა და როლი ჩვენი ზოგიერთი გავლენიანი მეზობლის სურვილის საწინააღმდეგოდ



ევროსტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირებისათვის, მოკლე ხანში სინამდვილედ იქცევა.

ამაღელვებელია თქვენი ზრუნვის გამოხატვა და მისი ფორმები სტიქიური უბედურების დროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს გვერდში რომ უდგებარ. მისასალმებელია თქვენი თავდადებული შრომა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. თქვენ ცდილობთ შექმნათ ყველა პირობა იმისთვის, რომ საქართველოში აღიზარდოს ჯანსაღი და სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდობა. მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებთ ბიუროკრატის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. სერიოზული რეფორმები ტარდება ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რომლებსაც შეფასება შედეგების მიხედვით მიეცემა. მისასალმებელია რომ თქვენ დაიწყეთ მუშაობა ჩვენი წინა ხელისუფლების მიერ დამახინჯებული დედაქალაქის გალამაზებისა და იმისათვის რომ მის ისტორიულ ნაწილს დაუბრუნოთ თავისი იერი. ყველა გრძნობს, რომ იმ თავკომბალა შენობებს, რომლებმაც მიმზიდველობა დაუკარგა ჩვენს დედაქალაქს არაფერი ეშველება, მაგრამ იმ ხალხს, ვინც ამ სიმახინჯეების მშენებლობა დაუშვა უნდა ვაგრძნობინოთ, რომ თბილისში ცხოვრების მორალური უფლება დაკარგული აქვთ. ზოგიერთმა კარიერისტმა როცა იგრძნო, რომ თქვენ ზრუნვა დაიწყეთ თბილისის გალამაზებისა და გამშვენიერებისათვის ვინაიდან მას ოდესღაც თქვენს გვერდით გაუვლია, სურვილი გაუჩნდა გახდეს დედაქალაქის მერი. თუმცა დარწმუნებული ვარ პიროვნება, რომელიც დრეს ამ თანამდებობაზეა საკმაოდ აქტიურად გიდგათ მხარში და პატიოსნად, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მართავს პროცესებს დედაქალაქში. ქალაქის მერობა მიმზიდველი თანამდებობაა და კრიტიკოსები მას არასდროს გამოეღევა, მაგრამ დარწმუნებული ვარ პატიოსან და კომპეტენტურ ადამიანებს თქვენი ხელმძღვანელობით ყოველთვის მიეცემა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება.



ბატონო პრეზიდენტი, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურ გარდაქმნას ახორციელებს ქვეყნის მთავრობა, თქვენი ხელმძღვანელობით, სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა, რადგან მას არ გააჩნია სასამართლო ხელისუფლება, ქვეყანაში არ მოქმედებს მართლმსაჯულება, ვინ წარმართავს მას, გაუგებარია. სასამართლო ორგანოები დაკომპლექტებულია უპრინციპო და უინიციატივო პირებით, რომლებსაც არ გააჩნიათ სამართლებრივი თავმოყვარეობა. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან. მოსამართლეებს დაკარგული აქვთ მართლშეგნება და რწმენა. ისინი საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობენ არა საქმის მასალებით, კანონის მოთხოვნებით და მართლშეგნებით, არამედ ვიღაცეების მითითებით. ქვეყანაში დაუცველია მოსამართლის უფლებები, საქმის განხილვის დროს თუ ის არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც პოლიციისა და პროკურატურის მუშაკებს აწყობს, მას ანთავისუფლებენ თანამდებობიდან. კომუნისტების დროს ასე ადვილად და დაუსაბუთებლად მაღაზის გამყიდველსაც კი ვერ გაანთავისუფლებდნენ სამუშაოდან. აბსოლიტურად ფორმალურ ხასიათს ატარებს მოსამართლეთა შესარჩევად გამოცდების ჩატარება. რა მნიშვნელობა აქვს ცოდნას, რომელსაც ისინი ამჟღავნებენ გამოცდების დროს, თუ მას პრაქტიკულ საქმიანობაში ვერ გამოიყენებენ? მოსამართლეთა შერჩევისა და მათი უფლებებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ წარმოშვა ციციძის მსგავსი მოსამართლენი, რომლებიც რამდენიმე დღის წინ საქვეყნოდ გაამასხარავა ტელეგადაცემაში შალვა რამიშვილმა ანგდოტური გადაწყვეტილების მიღებისათვის.

სამწუხაროა, რომ ეს ხდება ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე იურისტები არიან. გაჩუმებული და უინიციატივოა სასამართლო ხელისუფლების გამლიერების



საკითხებში პარლამენტში მოკალათებული იურისტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი.

სასმართლოს საქმიანობა უნდა წარმართოს კანონმა და არა ცალკეულმა თანამდებობის პირებმა. სამწუხაროდ ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის გამო არ მაქვს საშუალება მონაწილეობა მივიღო პრაქტიკულ საქმიანობაში, მაგრამ რასაც მოგახსენებთ, მასზე მაქვს უტყუარი ინფორმაცია პრესისა და ტელევიზიის საშუალებით. გარდა ამისა, დავაფუძვნე იურიდიული კონსულტაცია, რომელშიც გაერთიანებული არიან კვალიფიციური იურისტები, სასმართლო და პროკურატურის ორგანოებში მუშაობის მრავალწლიანი სტაჟით, რომლებიც თავიანთი ფუნქციების განხორციელების პროცესში აწყდებიან გაუგებრობებს და აღმაშფოთებელი უკანონოებების ფაქტებს.

ძალიან კარგად ვიცი, რომ საქართველოს უზენაესი სასმართლოს თავმჯდომარე, ბატონი კოტე კუმლაშვილი უაღრესად განათლებული, პატიოსანი და კარგ ოჯახში გაზრდილი პიროვნებაა, მაგრამ, ხომ ყველანამ ვიცით, კომ ის ჯერ მოსამართლე არ არის. ის რომ მოსამართლედ ჩამოყალიბდეს და აქტიურად აღკვეთოს სასამართლოზე შემოქმედების ფაქტები, ამას დრო ჭირება და დიდი პრინციპულობის გამოჩენა.

ჩვენ გვყავს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, რომელსაც სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენ ერთად ვმუშობდით და მე ვიცი მისი შესაძლებლობანი. გაკვირვებული ვარ რატომ არის ის გაჩუმებული, როცა ქვეყანაში მართლმსაჯულება საეთ მდგომარეობაშია, რატომ არ იბრძვის მოსამართლეთა უფლებების აღდგენისა და კანონით მათთვის მინიჭებული უფლებების სრულად გამოყენებისათვის.

ბატონო პრეზიდენტო, აუცილებელია მოსამართლეებს აღუდგინოთ დამოუკიდებლობა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებიდან და სხვა



საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

გარე ძალებიდან ზეწოლის გარეშე უფლება და საშუალება ჰქონდეთ ყოველ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღონ პროცესუალური ნორმების დაცვით საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, კანონის მოთხოვნისა და საკუთარი რწმენის გათვალისწინებით და არა ისე, როგორც პოლიციელი და პროკურორი უკარნახებთ.

სასმართლო ორგანოებში უკანონობის ფაქტების ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობს და განაპირობებს მათი უუფლებობა და ის გარემოება, რომ ქვეყანაში დასამარებულია წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი. არასწორედ მიმაჩნია ის რეფორმები, რაც ტარდება წინასწარი გამოძიების ქვემდებარეობისა და რეგულირების საკითხებში. არ შეიძლება წინასწარ გამოძიებას აწარმოებდეს ყველა, ვისაც ამის სურვილი გაუჩნდება. მართლმსაჯულების სწორად და ეფექტურად განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წინასწარი გამოძიების კვალიფიციურ წარმოებას. უხარისხოდ გამოძიებულ საქმეზე ხარისხიანი განაჩენის დადგენა შეუძლებელია. არასწორია, როცა წინასწარ გამოძიებას აწარმოებს ფინანსთა სამინისტრო. თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა. ფაქტიურად ვინ რას აკეთებს ამ საქმეში ვერავინ აკონტროლებს სამართლებრივ დონეზე.

ამის კონკრეტული მაგალითია საქართველოს პრემიერ მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმეზე აღძრული სისხლის სამართლი საქმის გამოძიების მიმდინარეობა.

მე, როგორც იურისტს და მოქალაქეს ძალზე მაწუხებს დღეს ქვეყანაში ატეხილი აურზაური და გაუგებრობანი, რაც დაკავშირებულია საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის ბატონი ზურაბ ჟვანიას დაღუპვის გამო. მიმაჩნია, რომ საგამოძიებო ორგანებს ამ საქმეზე ობიექტური და კვალიფიციური გამოძიების ჩატარებით დღემდე პასუხი უნდა გეცა იმ ოდნავ უცნაურ კითხვებზე, რაც



საზოგადოებაში მუხირებს. ჩემთვის აბსოლიტურად გაუგებარია თავდასხმები, რომლებიც ხორციელდება შინაგან საქმეთა მინისტრის მერაბიშვილზე.

იურისტპრუდენცია საერთოდ რთული მეცნიერებაა, მოვლენებსა და ფაქტებს სწორი სამართლებრივი შეფასება რომ მისცე, აუცილებელია გკონდეს იურიდიული განათლება. არც შეეძლო გაეთვალისწინებინა და ვერც მოვთხოვ მერაბიშვილს, რომელმაც ეს შემთხვევა პირველმა ნახა. სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა დამდგარი შედეგისა და მისი წარმოშობის მიზეზებზე. მან ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, რაც პრინციპული და კვალიფიციური გამომძიებლისათვის არაფერს ნიშნავს. გამოძიების ვერსიები გამომძიებელმ აუნდა შეიმუშაოს და ერთ-ერთი სავარაუდო ვერსია ესეც შეიძლება ყოფილიყო. რატომ დუმს გამომძიებელი, ჩემთვის გაუგებარია.

ჟვანიას დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი მითქმა მოთქმა რომ მოისპოს, აუცილებელია გამომძიებელმა კვალიფიციურად გამოიძიოს დაცვის მუშაკთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს რა დარღვევები იქნა დაშვებული და დააყენოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ამით ყველაფერს ნათელი მოეფინება.

თუ დაცვის მუშაკები ისე უნდა მუშაობდნენ, როგორც ისინი ახორციელებდნენ ჟვანიას დაცვას, გამოდის, რომ სახელწიფო სრულიად გაუმართლებლად იღებს საკმაოდ დიდ თანხებს მაღალი მოხელეთა დაცვისთვის. საინტერესოა, ვისგან ვიცავთ გუშინ ხელისუფლებაში მოსულ ზოგიერთ თანამდებობის პირს, რომელსაც ქვეყნისთვის ჯერ არც კარგი და არც ცუდი არ გაუკეთებია. ხომ არ აჯობებდა, ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოყოფილი ხარჯების ნახევარი მაინც მიგვემართა ტერორისტების მოვლენისა და მათი უვნებელყოფისათვის.



საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ერთიანი საგამომიებო ორგანო და დაკომპლექტდეს კვალიფიციური კადრებით, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მრავლადაა. ეს ხელს შეუწყობს კანონიერების დაცვას და გამომიების ხარისხის გაუნჯობესობას. ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის გაცილებით ადვილი იქნება ამ პროცესების მართვა და შევძლებთ ავიცილოთ ის კუროზები, რაც ჩვენმა ორგანოებმა წინაწსწარი გამომიების პროცესში დაუშვეს ბოლო წლებში.

ბატონო პრეზიდენტო! რადიკალურად უნდა შეიცვალოს დამნაშავეთა დაკავების დროს პოლიციის მუშაკების საქმიანობისადმი დამოკიდებულება. არ შეიძლება პოლიციელს დამნაშავემ ტყვია ესროლოს და მან კი მას ვარდი მიართვას, იმის შიშით, რომ ელენე თევდორაძე და თუთბერიძე არაფერი თქვანო. თუ დამნაშავე პოლიციელს არ ემორჩილება, მის დასაკავებლად პოლიციამ ძალა უნდა გამოიყენოს და პოლიციელს არ უნდა ეშინოდეს, რომ დამნაშავე სისხლნაჟღენტს ან სხეულის სხვა დაზიანებას მიიღებს. საჭიროა შემუშავდეს და კანონით რეგულირდებოდეს დამნაშავეს დაკავების დროს პოლიციის უფლებამოსილების ფარგლები.

ბატონო პრეზიდენტო, საჭირო რადიკალურად შეიცვალოს სახელმწიფოში ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებში. ეს მეტად მგრძნობიარე საკითხია და ვინც მთავრობაში ამ საკითხზე მუშაობს, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მას და ყველაფერი გააკეთონ იმესათვის, რომ პრეზიდენტის მოღვაწეობა ამ საკითხების მოწესრიგებაში უფრო ეფექტური იყოს, რათა მოსახლეობამ იგრძნოს სამართლებრივი თავისუფლება და კანონის უზენაესობის ზეიმი (ღმერთმა მოგვასწროს).

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ გადაუდებლად დაინტერესდეთ ჩვენს ქვეყანაში გამომიებისა და საქმის სასანართლოში განხილვის დროს კანონიერების დაცვის მდგომარეობით და გაატაროთ გადაუდებელი



ლონისძიებები სასმართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და
 მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების
 დაცვისათვის,

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, თქვენ არ გაქვთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ კატასტროფული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც იმყოფება ქართული მართლმსაჯულება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შემართების პიროვნება ამ მდგომარეობას არ შეურიგდებოდა, შექმნილი მდგომარეობით ილახება ქვეყნის ავტორიტეტი.

მდგომარეობიდან ქვეყანა უნდა გამოიყვანოთ თქვენ, როგორც პრეზიდენტმა. ამას გავალებთ ქვეყნის კონსტიტუცია და მოითხოვს ფართო საზოგადოებრიობა.

ვახტანგ რაზმაძე.



F115455
3